კრიტერიუმი
CRITERION

№ 6

რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

RUSTAVELI
INSTITUTE
OF GEORGIAN
LITERATURE

ნესტან თათარაშვილი

ART NOUVEAU (არ ნუვო) საქართველოში

სპეციალისტები ამ ბოლო დროს ცდილობენ სხვადასხვა სახელით ცნობილი ხელოვნების ეს თავისებურ სტილი (Art Nouveau, Jugendstiel, Lilienstil, Wellenstil, Liberty, Style Floreal, Secession, Modernista, Style Metro, Glasgow Style, стиль модерн და ამ უკანასკნელის გავლენით ჩვენში დამკვიდრებული "მოდერნი", "არ ნუვოს სტილი") საერთო სახელით – არ ნუვო /Art Nouveau/ აღნიშნონ. ნურც ჩვენ ვიუცხოვებთ ამ ტერმინს.

არ ნუვოს სახით ჩვენს ისტორიაში პირველად მკვიდრდება ზოგადევროპული სტილი, რომლის გავრცელებას საქართველოს არქიტექტურაში წინ უძღვის ერთგვარი შემამზადებელი ხანა. XIX ს-ის დასაწყისიდან ქალაქურ საცხოვრებელ სახლში ერთმანეთს ხვდება ევროპულ სტილთა ნაზავი – ეკლექტიკა და ეროვნული დეკორის სტილიზაცია ფასადების გაფორმებაში. იმპერიული ხელისუფლება ოფიციალურ შენობებს ძირითადად რუსული გვიანი კლასიცისტური სტილის მიხედვით აგებდა. მაგრამ საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში სახელმწიფო მოთხოვნები და კონტროლი ნაკლებად იყო და ამიტომ აქ უფრო მეტი ასპარეზი რჩებოდა ორიგინალური შემოქმედებისათვის. პატრონ-დამკვეთებისა და მშენებელ-ოსტატთა ძალისხმევით საცხოვრებელ სახლებში ქართული ტრადიციული სახლების არაერთი ელემენტი (ხის აივნებით შემკული ფასადები და სხვ.) საინტერესოდ არის შეთავსებული ახალ ფორმებთან, გვიანი კლასიციზმის ელემენტებთან.

XIX ს-ის შუა წლებიდან ევროპის გავლენით საქართველოშიც ფართოდ ვრცელდება ეკლექტიკური ფასადის მქონე შენობები. ხის აივნიანი ქალაქური სახლები შეცვალა უაივნო ან რკინის აივნებიანმა, სხვადასხვა სტილის დეკორით გაფორმებულმა საცხოვრებელმა და საშემოსავლო სახლებმა, რომლებშიც ტრადიციულმა ხის აივნებმა ცენტრალური ფასადებიდან ეზოების მხარეს. თავისთავად ამ შენობების გაფორმებაში ახალი და ორიგინალური ბევრი არაფერია, მაგრამ აღსანიშნავია შესრულების მაღალი დონე. საქართველოში კაპიტალიზმის დაგვიანებით შემოსვლის გამო ხანგრძლივად იქნა გამოყენებული ადგილობრივ ოსტატთა შემოქმედება და ადგილობრივი ტრადიციები. ხელოსანთა ამქრები ძველი ქართული სამშენებლო და ხუროთმოძღვრული ტრადიციების კარგი მცოდნენი იყვნენ. მათმა ნაწილმა XX ს-ის პირველ მეოთხედამდე იარსება.

არ ნუვოს მიღებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ეროვნული იდეალებისადმი სწრაფვამ XIX ს-ის მიწურულს ხელი შეუწყო ე. წ. ეროვნული ფორმების სტილიზაციას (2), „ქართული სტილის" არქიტექტურისაკენ სწრაფვას, ძველი ქართული არქიტექტურის

ორნამენტებისა და დეკორების გამოყენებას (ამ მოვლენამ გარკვეულ ეტაპზე საბჭოთა პერიოდშიც იჩინა თავი). ამგვარი შენობა სულ რამდენიმე აიგო. დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული კულტურის ეს ნოსტალგია იმის დადასტურებაც იყო, რომ ქართული ხუროთმოძღვრული აზრი მზად იყო შემოქმედებითი ძიებებისათვის. მალე ნათელი გახდა ქართული ხუროთმოძღვრული ფორმებისა თუ მოტივების სტილიზაციის უპერსპექტივობა და ახალი ფორმების გათავისების ნაყოფიერებაც.

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან არ ნუვოს ესთეტიკა საქართველოში მკვიდრედება აქ მოღვაწე არქიტექტორების, ჟურნალების, ევროპაში სამოგზაუროდ თუ სასწავლებლად წასული მოქალაქეების მეშვეობით. ამ სტილით შენდება არა მარტო თბილისში, არამედ სოხუმში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, დუშეთში, გაგრაში. ულამაზესი ხალხური არქიტექტურით განთქმულ რაჭაში, სოფლურ საცხოვრებელ სახლებზე არ ნუვოს სტილლის დეკორის მოტივების გამოყენება ხის აივნების გაფორმებაში (3) ცხადყოფს, რომ ეს სტილი ჩვენში საყოველთაო მოწონებით სარგებლობდა. ხშირი იყო აგრეთვე ამ სტილით განხორციელებული რეკონსტრუქციები. ამ სტილით შენდებოდა საცხოვრებელი და საშემოსავლო სახლები, ბანკები, საავადმყოფოები, სასწავლებლები, კინოები და თეატრები, მაღაზიები, ატელიეები, სახელოსნოები, ლომბარდი და სხვ. არ ნუვოს სტილი სასაფლაოებსაც დაემჩნა.

არ ნუვოს ორიგინალობა, ემოციურობა, ფერადოვნება, ეგზოტიკურობა და კომფორტულობა მოსახლეობის გემოვნებას კარგად ესადაგებოდა. არის ისეთი შემთხვევები, როცა ამ სტილით სახლს აშენებს თვითონ მეპატრონე, სამშენებლო საქმის მცოდნე თვითნასწავლი ოსტატი და ქმნის უაღრესად ლამაზ აივანს /ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №38./. ხდება ისეც, რომ მეპატრონის თხოვნით ზოგადად მკაცრ და სიმეტრიულ, სწორკუთხა ღიობების მქონე ერთფეროვან ფასადს მოულოდნელად ერთ ნალისებურ, მოდერნულ სარკმელს უკეთებენ /ქუთაისი, ნიუპორტის ქ. №25/. საქართველოს არ ნუვოს სტილის ნაგებობები ხასიათდება კარგი გეგმარებით. ზოგიერთი შენობის ფუნქცია ოსტატებისათვის უკვე ნაცნობი იყო, მაგრამ არის თვისობრივად ახალი თემებიც, მაგ., კინოთეატრები. XX ს-ის დასაწყისის ქუთაისში აშენდა „მონპლეზირ" (აღარ არსებობს). კინოთეატრი „აპოლო" თბილისში (გაიხსნა 1909 წელს – 5) ბოლო დრომდე ასრულებდა თავის დანიშნულებას. დღესაც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს ყოფილი „სახალხო სახლი" (ახლა მარჯანიშვილის თეატრი), ყოფილი ვაჟთა გიმნაზია (ლ.ასათიანის ქ. №50/ და ყოფილი რეალური სასწავლებელი (უ.ჩხეიძის ქ. №8/, სამშობიარო (კოსტავას №38), ყოფილი საბებიო ინსტიტუტი, ბავშვთა საავადმყოფო,

ყოფილი დავრდომილთა სახლი (ზუბალაშვილების №48/52). ფუნქციური და გეგმარებითი გამართულობით ხასიათდება აგრეთვე ყოფილი ხელთათმანების ატელიე, ამჟამად საცხოვრებელი სახლი (თბილისი, ლეონიძის №7).

ახალმა სტილმა ხელი შეუწყო ახალი სამშენებლო მასალების, რკინისა და მინის, გამოყენებას, ახალი კონსტრუქციული ფორმებით რთულ საინჟინრო გადაწყვეტებს, ფართომალიანი საოპერაციო დარბაზების ლითონითა და მინით გადახურვას. ამის გამოცდილება ჩვენს მშენებლებს უკვე ჰქონდათ. როდესაც 1879 წ-ს აღადგინეს დიდი ქარვასლა /1930 წ. დაანგრიეს/, მისი შიდა ეზო ლითონის ფორმებზე დაწყობილი მინით გადახურეს. მშენებელ-ინჟინრების მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს (თბილისი, გუდიაშვილის №7/ ყოფილი ბანკის დარბაზის დიდი სივრცის ტექნიკურად რთული და მხატვრულად საინტერესო ლითონის კონსტრუქციებით მოწყობა, ნახევარწრიული ფორმის მინით გადახურვა. საქართველოში არ ნუვოს ერთ-ერთი პიონერი იყო სიმონ კლდიაშვილი (1865-1920), რომლის მიერ 1902 წელს არ ნუვოს სტილით რეკონსტრუირებული სახლი (ვარცდიხის №4) ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია ჩვენში არ ნუვოს სტილის ნიმუშებს შორის.

საქართველოში არ ნუვოს ყოველი ნიმუში, დიდი, თუ მცირე, მდიდრული თუ უბრალო, დიდი შემოქმედებითი იმპროვიზაციითაა განხორციელებული. ამ სახლების ფასადები აცოცხლებენ და ახალისებენ საერთო არქიტექტურულ ფონს. მიკრო-ქალაქგეგმარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის კარგი მაგალითია ქუჩა-ანსმბლი "ბამბის რიგი" თბილისის ძველ უბანში. ცალკე აღნიშვნის ღირსია დიდი ოსტატობით შესრულებული ლითონის აივნები, მესერები, სარკმელთა ცხაურები, კიბის მოაჯირები. ინტერნაციონალურ მოდერნში ადგილობრივმა არქიტექტორებმა, ოსტატებმა და დამკვეთებმა არაერთი თავისებური ნიშან-თვისება შეიტანეს; მაგ., საცხოვრებელი სახლების უკანა ფასადებზე მოწყობილი ხის აივნები. ქართულმა აივანმა, უკვე მიჩვეულმა ხშირ ფერიცვალებას, კარგად მოირგო არ ნუვოს დეკორის მოტივები და სწრაფად გაჩნდა არ ნუვოს დეკორით მოხარატებული ხის აივნებით შემკული უკანა კედლები, რაც ჯერ კიდევ შემორჩენილია თბილისის ცალკეულ შენობებზე (ალ. ჭავჭავაძის I ჩიხი №1, რუსთაველის №37 ე. წ. მელიქ-აზარიანცის სახლი და ვაშლოვანის №6).

არ ნუვოს გავრცელების დროს თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები ფეხს უბავდნენ საერთაშორისო ნორმებსა და მოთხოვნებს. ყოველივე ამის ამსახველი არქიტექტურის გარკვეული ნაწილი ამჟამადაც ჩვენს გვერდითაა, ჯერ კიდევ ცოცხალია. საბჭოთა ხელისუფლება უახლესი ისტორიის არქიტექტურას განსაკუთრებით აგდებულად ეკიდებოდა. ეს მავნე ტრადიცია დღესაც გრძელდება, რის გამოც ჩვენი ქალაქების თვით

ის უბნები თუ სახლები, რომლებიც არ ნუვოს სტილის სტანდარტებს აკმაყოფილებენ, მოკლებულია ზრუნვას და ულმობლად ნადგურდება.

არ ნუვოს არქიტექტურის ნიმუშებით ყველა ქვეყანა თავს იწონებს. ისინი დაცული და მოვლილია, შეტანილია ძეგლთა დაცვის რეესტრებსა და ტურისტულ მარშუტებში. შექმნილია არ ნუვოს გალერეები და მუზეუმები. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ეს ბედის ამარა მიტოვებული სახლები ჩვენი არქიტექტურული კულტურის საამაყო ნიმუშებია, რომლებმაც საერთაშორისო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ. საქართველოს არ ნუვოს ნიმუშების ფოტო-გამოფენა მიწვეულია ზაარბრიუკენსა და ბერლინში, მას ბრიუსელში, პარიზში და ვენაშიც ელიან. ამ ფოტო-გამოფენით ჩვენი სამშობლო ევროპაში პირველად წარსდგება თავისი არ ნუვოს სტილის მემკვიდრეობით.

თანამედროვე არქიტექტურა კვლავ მიუბრუნდა არ ნუვოს მემკვიდრეობას. ასეთი ტენდენცია ქართულ დიზაინსა და არქიტექტურაშიც შეიმჩნევა. ჩვენში დღეს ამ სტილით სრულდება ბევრი ახალი შენობის ფასადი და ინტერიერი, ჭიშკრები, კარები და ლითონის ცხაურები. საქართველოში ლიტერატურის მკვლევართა ნაშრომებშიც გაჩნდა არ ნუვოთი დაინტერესება (6 და 7). არ ნუვოს გავლენა და ზემოქმედება საძიებელია ჩვენს დეკორატიულ და გამოყენებით ხელოვნებაში, მრეწველობის სხადასხვა დარგში, მხატვრობასა და ქანდაკებაში, პროზასა და პოეზიაში.

---

1. Dunkan, A. Art Nouveau. 1997, p.23; 2. ბერიძე, ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება. II, 1963, გვ 131-148; 3. Кавказский календарь. 1913б стр.113; 4. ს.ლეჟავა. კოლხური ოდა-სახლი. თემა წაკითხული საერთაშორისო სასწავლო კურსზე "ხალხური ხუროთმოძღვრების მნიშვნელობა და მისი დაცვის პრობლემები". 1997, გვ. 15; 5. Тифлисский листок, №69, 1909; 6. ნ.ნახუცრიშვილი-ბაქანიძე, ნ. იუგენდშტილი და რაინერ მარია რილკეს ადრეული პროზა. – საუნჯე , №6, 1986; 7. ირ.კენჭოშვილი, გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში. 1999.